ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბ-ნ, კახა კალაძეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

თბილისის ურბანული განვითარების
საქალაქო სამსახურს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შიდა
აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს
ქ. თბილისი, მიცკევიჩის #29

ქ. თბილისში, ბაგებში, საკანდელიძის ქუჩის მაცხოვრებლების

ერთობლივი განცხადება

ქ. თბილისში, ბაგებში, მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.14.08.001.088 და 01.14.08.001.042 „მეტრა პარკი"-ს დასახლებაში სამშენებლო კომპანიის მიერ წარდგენილი ახალი განაცხადებისა # AR11050966, AR11050995 და AR11051005 და ფერდობის ჩამოშლასთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლიდან გრძელდება ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი *(მათ შორის არაერთხელ მასმედიით გაშუქებული)* სამშენებლო კომპანიასა და მერიის სამსახურების მიმართ, რომელიც უკავშირდება 3 მრავალსართულიანი კორპუსის შესაძლო მშნებლობას მიწის ნაკვეთებზე ს/კ 01.14.08.001.088 და 01.14.08.001.042. აღნიშნული ნაკვეთების უშუალოდ მომიჯნავედ განთავსებული სახლების მაცხოვრებლებმა ამ პერიოდის განმავლობაში მოიპოვეს არაერთი საექსპერტო დასვნა და რეკომენდაცია, რომელიც განსაზღვრავდა, რომ აღნიშნული ნაკვეთები გეოლოგიურად არამდგრადია და აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ხე-ნარგავების განადურება და ნაკვეთების გამოყენება მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობის კუთხით არამიზანშეწონილია, რადგან საფრთხეებს შეიცავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მიუხედავად არაერთი მცდელობისა მერიის სამსახურებმა 2019-2020 წლებში გასცეს ნებართვები და სამშენებლო კომპანიამ დაიწყო ხსნებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული ბუნებრივი ლანშაფტის ხე-ნარგავების მასობრივი მოჭრა და ასევე კლდის უზარმაზარი მასივის ნგრევა შემდგომში კორპუსების აშენების წინაპირობის შექმნის მიზნით. აღნიშნული ქმედებების შედეგად კი 2 ჯერ ჩამოინგრა კლდის მასივი, მათ შორის 2021 წლის 5 ივლისის მასიურმა ნგრევამ მეზობელი მიწის ნაკვეთების როგორც დამოუკიდებელი საკადასტრო ერთეულების ფაქტიურად გაქრობაც გამოიწვია და ასევე სამშენებლო

მოედანზე ჩამოშლილმა კლდის მასამ ქვეშ მოიყოლა სამშენებლო მძიმე ტექნიკა, საბედნიეროდ შემთხვევა შუაღამით მოხდა და ადამიანთა მსხვერპლი ამ შემთხვევას არ მოჰყოლია, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიანი შეშფოთება და პროტესტი გამოიწვია. შედეგად ადგილზე მოსულმა მერიის სამსახურებმა სამშენებლო კომპანია დააჯარიმეს და დაავალეს ჩამონრეული კლდის გამაგრების სამუშაოების განხორციელება. თუმცა 2021 წლის ივლისის მერე, რაც ჩამოინგრა კლდის მასივი გამაგრების სამუშაოების დაწყება არ განხორციელებულა. მეტიც, გარკვეული პერიოდის მერე სამშენებლო კომპანიამ კვლავ გააქტიურა მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობის საკითხი და არაერთი განაცხადით მიმართა არქტექტურის სამსახურს, რომელთაგან უმრავლესობა დახარვეზდა და კომპანიას მოეთხოვა თავიდან დეტალური გეულოგიური კვლევების ჩატარება მათ შორის გამაგრების მოწყობის მიზნით და ასევე ბევრი წინაპირობა სამშენებლო პროცესის განახლების კუთხით. აღნიშნული მოთხოვნები კომპანიის მიმართ ვერ ან არ შესრულდა და ამ ეტაპზე გავქვს სურათი რომ კომპანიამ სხვა არსებულ განაცხადებთან ერთად ა.წ. 1 აგვისტოს კომპანიამ კვლავ მიმართა მერიის არქიტექტურის სამსახურს სამშენებლო ნებართვების მოპოვების მიზნით პლიუს მოითხოვა გაზრდილი სართულიანობა და საკითხი დაუკავშირა კლდის გამაგრების მოთხოვნას და შესაძლო ფინანსურ დანახარჯებს.

ადგილობრივი მოსახლეობა მკაცრად ვგმობთ სამშენებლო კომპანიის ამგვარ უტიფარ ქმედებას, დამდგარი სამწუხარო გარემოებების მერეც, კვლავ განახლებული ამბიციები იგივე 2 ჯერ დანგრეულ მთის მასივზე დაიწყოს მრავალსართულიანი კორპუსების სამშენებლო პროცესები ყოველგვარ საღ აზრს და ლოგიკას მოკლებულია.

საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულყოფილი განხილვის შედეგად, განსახილველ შემთხვევაში კი, საჯარო მმართველობის განხორციელების მინიმალური სტანდარტიც კი არ არის დაცული შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, იმის მაგივრად, რომ კომპანიამ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა ფერდის გამაგრებასა და სრულყოფილი კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით, წარდგენილი არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს ისედაც მოსახლეობისთვის საშიში მშენებლობის უსაფრთხოების კუთხით კიდევ უფრო შეუსაბამო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებას! რეალურად როგორც ჩანს მერიის კომპეტენტური ორგანოები ელოდებიან ფატალური შედეგით სამშენებლო პროცესის დასრულებას, ვინაიდან ორჯერ კლდის ფერდისმასიური ჩამონგრევა არ არის საკმარისი შესაბამისი რეაგირებისთვის!

საპროექტო ტერიტორიის (ს/კ 01.14.08.001.088) კომპლექსურად შესწავლის მიზნით მოსახლეობამ მოიპოვა არაერთი დასკვნა და რეკომენაცია რაც ფაქტიურად არ იქნა გათვალისწინებული და სამწუხაროდ დადგა სწორედ ის შედეგი რისი თავიდან არიდებაც შესაძლებელი იყო.

ამდენად, ზემოხსენებული გარემობებისა და მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ ის გარემოება, რომ საპროექტო წინადადება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს და მისი დაკმაყოფილება კიდევ უფრო მნიშვნელოვნად დააზიანებს გარემოს და შესაბამისად მოსახლეობის საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მტკიცებულებების, შექმნილი ფაქტობრივი გარემოებების აღწერის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მოვითხოვთ:

შეწყდეს თბილისის არქიტექტურის სამსახურში ა.წ. 1 აგვისტოს წარდგენილი განაცხადების AR11050966, AR11050995, AR11051005 განხილვა, ასევე აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე კორპუსების მშენობლობის კუთხით წარდგენილი სხვა მიმდინარე განაცხადების განხილვა და საბოლოოდ უარი ეთქვას კომპანიას აღნიშნულ ავარიულ ფერდობზე მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობაზე.

თბილსის მერიამ შესაბამისი რეგარირება მოახდინოს სამშენებლო კომპანიაზე, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს მისივე ბრალეულობით ჩამონგრეული ფერდის გამაგრების პროცესი, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რადგან ამ კლდის მასივის ასეთ მდგომარეობაში დატოვება საფრთხისშემცველია მოსახლეობისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს ზემოხსენებული მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი.

საქართველოს პროკურატურამ/საგამოძიებო ორგანოებმა მოახდინონ მისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი რეაგირება სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის მიზნით.


დანართი: ექსპერტიზის დასკვნები და შესაბამისი უწყებების მიწერილობა/შეფასებები მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ე.წ. მეტრაპარკის დასახლება) არსებული ტერიტორიის მაცხოვრებლები

სახელი გვარი პ/ნ


25.09.2024წ.

ნინო ყვანწაძე 01026001230 ნ.ყ.
ზურაბ ტოლორაია 01026001231
თამილა ტოლორაია 01024091337 თ.ტ.
ვლადიმერ ტოლორაია 01024072724 ვ.ტ.
ალექსი გოთუა 01017007794 ა.გ.
გოჩა დოლიძე 61004000032 გ.დ.




[illegible]	[illegible]	35501132271
[illegible]	[illegible]	35001050870
[illegible]	[illegible]	61006033974
[illegible]	[illegible]	20001006944
[illegible]	[illegible]	62005023810
[illegible]	[illegible]	62005028145
[illegible]	[illegible]	35001031987
[illegible]	[illegible]	01030010844
[illegible]	[illegible]	01005001706
[illegible]	[illegible]	01015025875
[illegible]	[illegible]	01017038842
Victoria	Shtorm	0109200 3248
Daniel Petter Svaetichin		01391001916
[illegible]	[illegible]	62001003384
[illegible]	[illegible]	62001011897
[illegible]	[illegible]	01030028677
[illegible]	[illegible]	01791003781
[illegible]	[illegible]	01024020139
[illegible]	[illegible]	01015007400
[illegible]	[illegible]	01008028290
[illegible]	[illegible]	01008011141
[illegible]	[illegible]	01011016563

	01030016788	
	01008005315	
	01008015427	
	01008015428	
	01008012925	
	42031000525	
	16001004872	
	01024021404	
	01026003810	
	38001061507	
	01030023465	
	01501132904	
	01005007220	
	01005007355	
	01224091772	
"KMC GLASS" ს/ს	16001000761	
	40521787	
	01024028517	
	01024009582	
	01005008948	
	01008012562	
	01011038902	
	01005022903	
	60001158281	
	60001009402	


26 Sep 2024 at 11:31:00
Zurab Sakandelidze Street
Georgia


26 Sep 2024 at 11:33:09
Zurab Sakandelidze Street
Georgia


26 Sep 2024 at 11:30:12
Zurab Sakandelidze Street
Georgia


26 Sep 2024 at 11:30:55
Zurab Sakandelidze Street
Georgia


26 Sep 2024 at 11:28:19
Zurab Sakandelidze Street
Georgia

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-011829247**
თარიღი: **19/10/2018**
პინი: **4305**

გადაამოწმეთ: document.tmunicipal.gov.ge

ადრესატი: შპს მეტრა დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404982033
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით მდებარე, სახლი N 26, ბრასაცხოვრებელი ფართი N 1

შპს "მეტრა დეველოპმენტი"-ს წარმომადგენელს
ბატონ იაკობ გვალიას

ბატონო იაკობ,

2018 წლის 3 ოქტომბრის თქვენი N10/011827713337-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება თბილისში, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.08.001.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე განგისაზღვრავთ საკვლევ არეალს.

თუმცა, ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არსებული მაღალი ინტენსივობის განაშენიანება სატრანსპორტო კავშირისთვის შეუსაბამოა. საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქის ძირითადი მიზიდულობის ცენტრებისაკენ მხოლოდ შეზღუდული გამტარუნარიანობის (ქუჩის სიგანის, რელიეფის და გეომეტრიული პარამეტრების ერთობლიობა) მქონე წყნეთის გზატკეცილი - თითო ზოლით თითო მიმართულებით - უზრუნველყოფს. აღნიშნული გზატკეცილი და მისი მიმდებარე ძირითადი კვანძები, განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე მონაკვეთში, აშუამად უკვე გადატვირთულია ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობით. გარდა ამისა, ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (მაღალი მოცულობისა და სიხშირის კარგად შეკავშირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი) მოწყობა, რაც წყნეთის გზატკეცილის რელიეფის მახასიათებლებისა და გეომეტრიიდან გამომდინარე პერსპექტივაშიც შეზღუდულია.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს გზატკეცილის გაყოლებაზე არსებული საქვეითე ინფრასტრუქტურა; ტროტუარი ხშირ შემთხვევაში წყდება ან დაკავებულია შენობებში შესასვლელი კიბეებით. გასათვალისწინებელია, რომ ტროტუარების მოწყობის შესაძლებლობა შეზღუდულია არსებული განაშენიანებისა და ქუჩის არასაკმარისი სიგანის გამო.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, უბნის მაცხოვრებლების მდგრადი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა შეზღუდულია. განაშენიანება არის მანქანაზე დამოკიდებული და ყოველი ახალი მაღალი ინტენსივობის მშენებლობა არის სატრანსპორტო პრობლემების გაღრმავების წინაპირობა და ეწინააღმდეგება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე დამატებით მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. შესაბამისად, ტრანსპორტზე ზეგავლენის კვლევის ჩატარება საჭიროებას არ წარმოადგენს.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 4 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

დ.აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Web : www. meteo.gov.ge

Tel.:+995 32 243 95 02 Fax: +995 32 243 95 03
E-mail: info@meteo.gov.ge

N 21/677
20/03/2019

677-21-2-201903201235

მოქ. ზურაბ ქილიფთარს
მის: ქ. თბილისი, ბაგების დასახლება,
ზურაბ საკანდელიძის ქუჩა
პ/ნ: 01026001231
ტელ: 599 57 26 25

ასლი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
ვაკის რაიონის გამგეობას

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2019 წლის 11 მარტის **№ 533** კოლექტიური განცხადების პასუხად, გიგზავნით სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ მომზადებულ ვიზუალურ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვანს"**ქ. თბილისში, ბაგების დასახლებაში, ზ. საკანდელიძის ქუჩის № 19, 21, 23 სახლების სამხრეთით არსებული ფერდობის გეოდინამიკური პირობების შესახებ"** (იხ. დანართი).

დანართი - დასკვნა 8 ფურცელი.

პატივისცემით,

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13

ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქ. თბილისში, ბაგების დასახლებაში, ზ. საკანდელიძის ქუჩის № 19, 21, 23 სახლების სამხრეთით არსებული ფერდობის გეოდინამიკური პირობების შესახებ

ქ. თბილისში ბაგების დასახლებაში, ზ. საკანდელიძის ქუჩა № 19, 21, 23 სახლებში მცხოვრები მოქალაქეების კოლექტიური განცხადების (№ 533, 11/03/2019) და გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალების საფუძველზე, ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა **მერაბ გაფრინდაშვილმა** და სტიქიური პროცესების, საინჟინრო-გეოლოგიის და გეოეკოლოგიის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა **მოთა ლობჟანიძემ,** წამყვანმა სპეციალისტმა **გიორგი კუნჭულიამ** და მოწვეულმა სპეციალისტმა **ზურაბ რიკაძემ,** 2019 წლის 13 მარტს ადგილზე გასვლით, გეოლოგიური კუთხით შეაფასეს **ზ. საკანდელიძის ქუჩა № 19, 21, 23** სახლების სამხრეთით მდებარე ხელოვნურად ფორმირებული გრავიტაციული უბანი (ქვათაცვენა, ჩამოშვავება) და მისი მიმდებარე ტერიტორია. მოპოვებული საველე, საფონდო, ლიტერატურული და აეროფოტო მასალების კამერალური დამუშავების და ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

ზ. საკანდელიძის ქუჩა № 19, 21, 23 სახლები და მიმდებარე ტერიტორია (შემდგომში წოდებული საკვლევ ტერიტორიად) მდებარეობს მდ. ვერეს ასიმეტრიული ხეობის მარჯვენა მხარეს, ცვალებადი დახრილობის ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთის ექსპოზიციის მქონე ფერდობის ქვედა ნაწილში. აღნიშნული ფერდობის ქვედა ნაწილის სამოსახლოდ ინტენსიურად ათვისების გამო, მისი ბუნებრივი პროფილი ხელოვნურად სახეცვლილია (ტრანსფორმირებულია).

გეოლოგიური თვალაზრისით ფერდობის შუა და ქვედა ნაწილი აგებულია პალეოგენური სისტემის შუა და ზედა ოლიგოცენური ქვესიარუსების - P_3^{2+3} ძლიერ დისლოცირებული ნალექებით, რომლებიც არსებული ბუნებრივი გაშიშვლებების და ხელოვნური ჩამონაჭრების მიხედვით, ლითოლოგიურად წარმოდგენილია: მკვრივი სქელშრეებრივი ქვიშაქვების და თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეებიანი თიხების და ალევროლითების მორიგეობით **(სურ. 1).** ბუნებრივი გაშიშვლებების და ხელოვნური ჩამონაჭერის ჭრილში დომინირებენ **(სურ. 2)** სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშაქვები (წვრილიდან უხეშმარცვლოვნამდე ზოგჯერ გადადიან გრაველიტებში), ქვიშაქვების

ცემენტი კიროვანი და თიხოვან-კიროვანია. შემადგენლობის მიხედვით პოლიმიქტურია, მაგრამ სჭარბობს ტუფოგენური მასა. შეფერილობის მიხედვით ქვიშაქვები ნაცრისფერი და მომწვანო-ნაცრისფერია. ალევროლითების ცემენტი ძირითადად კიროვანია, მათი შეფერილობა მოყავისფრო-ნაცრისფერია, ხოლო თიხები არაკარბონატულია, თხელშრეებრივი, თითქმის ფურცლოვანი და ჰაბიტუსის მიხედვით მაიკოპის თიხების იდენტურია.



სურ. 1



სურ. 2

საკვლევ ტერიტორიაზე ქანების წოლის ელემენტები შემდეგ ფარგლებში ცვალებადობს: 1. დაქ. აზ. ჩ.დ - 330°, ∠30°; 2. დაქ. აზ. ჩ. აღ - 15°, ∠30° (კოორდინატები: 1. X-477118, Y-4617565; 2. X-477122, Y-4617565); 3. დაქ. აზ. ჩ. დ - 350°, ∠40° (კოორდინატები: 3. X-477210, Y-4617527).

საკვლევი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების რუკის მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიეკუთვნება მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონი) ნაოჭა (ნაოჭა-შეცოცებითი) სისტემის, აჭარა-თრიალეთის ზონის სამხრეთ ქვეზონას (III_1^4) და მდებარეობს ასპინძა - თბილისის ქვესექტორის ცენტრალურ ნაწილში, სიმეტრიული აგებულების საბურთალოს სინკლინის სამხრეთ ფრთაზე, რომელიც გართულებულია სხვადასხვა რიგის რღვევებით, ერთ-ერთი რღვევა საკვლევი უბნის და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით განედურად არის განვითარებული.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით ქ. თბილისი და შესაბამისად, ბაგების დასახლება მიეკუთვნება 8 ბალიანი

15

სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 4 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ ნ 01.01.09 დამტკიცების შესახებ).

გეომორფოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, საკვლევი და მიმდებარე ტერიტორია მიეკუთვნება განედურად ინტენსიურად დანაოჭებული პალეოგენური ქვიშა-თიხოვანი ნალექების სუბსტრატზე განვითარებულ, დაბალ და საშუალო მთიან ტექტონომორფული ეროზიული-დენუდაციური რელიეფის ტიპს.

აღნიშნული ტიპის რელიეფის ციცაბოდ დახრილი ფერდობებისათვის დამახასიათებელია ეროზიული ხევებით და ხრამებით დანაწევრება.

ძირითად მორფოლოგიურ ელემენტებს წარმოადგენენ „V“-ბური განიკვეთის და ცვალებადი ჩაჭრის სიღრმის მქონე, პერიოდულად მოქმედი ხევების, ხრამების და ვიწრო მოგლუვებულთხემიანი წყალგამყოფების მორიგეობა და ფერდის ამგები ქანების დისლოცირების შედეგად ფორმირებული, ცვალებადი დახრილობის მქონე ტერასისებური ზედაპირების ფრაგმენტები, ამასთან ფერდობის ბუნებრივი რელიეფი სახლების მშენებლობის მიზნით ტექნოგენურადაც არის სახეცვლილი.

ციცაბოდ დახრილო ფერდობის და მაღალქანობიანი კალაპოტის მქონე ხევების და ხრამების არსებობის და ცვალებადი ინტენსივობით მუდმივად მიმდინარე ეროზიულ-დენუდაციური პროცესების ზემოქმედების პირობებში, ფერდობული გენეზისის საფარი გრუნტები ერთობ შეზღუდული გავრცელებით და უმნიშვნელო სიმძლავრით (0.1-0.15 მ-დე) ხასიათდებიან.

ქვემოთ მოგვყავს ზ. საკანდელიძის ქუჩის სამხრეთით ფერდის ჩამოჭრის შედეგად ფორმირებული ნახევრადნათხარი ფერდოს კონტურში არსებული მდგომარეობის აღწერა და მოსალოდნელი საშიშროების რისკი შეფასება.

ფერდის ჩამოჭრის შედეგად ფორმირებული 2,5-6 მ-დე სიმაღლის და ძლიერ ციცაბოდ დახრილი (55-67°-მდე) ფერდო, აგებულია ძლიერ დისლოცირებული დანაპრალიან-გამოფიტული ქანებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია: სქელშრეებრივი ქვიშაქვების და თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეებიანი თიხების და ალევროლითების მორიგეობით, ეს ქანები ზემოდან გადაფარულია უმნიშვნელო სიმძლავრის ნიადაგის ფენით. მხოლოდ ფერდოს დასავლეთ უბანზე არსებული „V” განიკვეთის ამოვსებული

16

ხევის კვეთში ფიქსირდება საფარი გრუნტის ცვალებადი სიმძლავრის დანაგროვები ჯიბის სახით **(სურ. 3).** გაშიშვლებული ფერდოს კონტურში გამოფიტვის პროცესის ხარისხი მნიშვნელოვნად გაზრდილია, რის შედეგად ადგილი აქვს სხვადასხვამონატეხოვანი და წვრილდისპერსიული მასალის ქვათაცვენა-ჩამოშვავებას და მათი ფერდოს ძირის გასწვრივ ქუჩის ვაკისზე პერიოდულ აკუმულაციას. აღსანიშნავია, რომ ფერდოს კონტურში და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების გამოსავლები არსად არ დაფიქსირდა.



სურ. 3

ნახევრადნათხარი ფერდოს კონტურში გრავიტაციული პროცესის ჩასახვა-განვითარება, შემდეგ მიზეზ-ფაქტორთა ერთობლიობით არის განპირობებული:

- ფერდის ძირის ხელოვნურად ჩამოჭრით და მისი ბუნებრივი მდგრადობის დარღვევით;

- ფერდობის ამგები ქანების დისლოცირების და დაწაპრალიანება-გამოფიტვის მაღალი ხარისხით;

- საკვლევი ტერიტორიის ამგები ქანების შრეობრიობის სიბრტყის და ფერდის დახრილობის თანხვედრით.

აღნიშნულ მიზეზ-ფაქტორთა ერთობლიობა და მუდმივად მიმდინარე გამოფიტვის და ეროზიულ-დენუდაციური პროცესების ინტენსივობის შემდგომი ზრდა, ხელშემწყობ პირობებს ქმნის, ფერდის ამგებ ნახევრადკლდოვანი და ბმული (თიხოვანი) ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გაუარესების, კერძოდ: შეჭრილობის ძალის და შინაგანი ხახუნის კუთხის ბუნებრივი მახასიათებლების მნიშვნელოვანი დაქვეითების შედეგად გრავიტაციული (ქვათაცვენა, ჩამოშვავება) და ეროზიულ-დენუდაციური პროცესების

17

რეგრესიული განვითარება-გაფართოების, აგრეთვე მომავალში არამძლავრი ბლოკური სრიალის ტიპის მეწყრული სხეულების ფორმირების თვალსაზრისით.

ხელოვნური ფლატის კონტურში განვითარებული გრავიტაციული მოვლენები საშიშროების რისკის შემცველია **ზ. საკანდელიძის ქუჩაზე** მცხოვრები მოქალაქეებისათვის და ქუჩის მდგრადი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე არსებული საშიშროების რისკის და მომავალში მისი შემდგომი ზრდის აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შემდეგი გადაუდებელი დაცვითი ღონისძიების განხორციელება:

- სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით შემუშავებული პროექტის საფუძველზე, ქუჩის გასწვრივ არსებული ხელოვნური ნახევრადნათხარის ზოლში, ზ. საკანდელიძის ქ. №19, 21, 23 სახლებთან გაკეთდეს სადრენაჟო ხვრელებიანი სამაგრი კედელი.

რაც შეეხება **ზ. საკანდელიძის ქუჩის № 19 და 21** სახლებში მცხოვრები მოქალაქეების კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილ მოსაზრებას, რომ ხელოვნურად ჩამოჭრილი ფერდოს წარბის სამხრეთით მდებარე ფერდობზე, შპს „მეტრა დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.001.088) ტერიტორიაზე იგეგმება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. რაც მათი თვალსაზრისით, უპირობოდ გამოიწვევს ისედაც დაძაბულ მდგომარეობაში მყოფი ფერდობის მდგრადობის გაუარესებას და ფერდობზე არსებული მრავალწლოვანი მცენარეული მწვანე საფარის განადგურებას, აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ შეფასდა ფერდზე არსებული მდგომარეობა და ქვემოთ მოგვყავს მასზე ამჟამად არსებული მორფოლოგიური პირობების და გეოდინამიკური მდგომარეობის აღწერა და საშიშროების რისკის შეფასება.

ზ. საკანდელიძის ქუჩის სამხრეთით, ცვალებადი დახრილობის მქონე ფერდზე მდებარე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით სუბგანედურად განვრცობილი მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდის მიხედვით შეადგენს 3700 მ^2. მიწის ნაკვეთი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთის მხრიდან აუთვისებელი ტერიტორიით არის შემოსაზღვრული, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს 2,5-6 მ-დე სიმაღლის და ძლიერ ციცაბოდ დახრილი ხელოვნური ფლატით ისაზღვრება. მიწის

18

ნაკვეთის ჰიფსომეტრიული ნიშნულები შემდეგ ფარგლებში მერყეობს, კერძოდ: ჩრდილო დასავლეთ უბანზე 579-594 მ-დე; ცენტრალურ უბანზე 581-598 მ-დე, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზე 583-599 მ-დე. მიწის ნაკვეთის ფარგლებში ზედაპირის დახრილობა არაერთგვაროვანია, კერძოდ: ჩრდილო-დასავლეთ სუსტად ჩაზნექილ უბანზე დახრილობა 17-18-23°-დე ცვალებადობს; რელიეფის მკვეთრი გარდატეხვის და ჩაზნექვის ცენტრალურ უბანზე 13-23°-დე, ხოლო სუსტად ჩაზნექილ სამხრეთ-დასავლეთ უბანზე 20-23°-დე. მიწის ნაკვეთის ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიის ზედაპირი ძირითადად დაფარულია ბალახის კორდით, ბუჩქნარით, ჯაგნარი ხე-მცენარეებით და ერთეული წიწოვანი ხეებით **(სურ. 4, 5)** ციცაბოდ დახრილი ზედაპირის მქონე მიწის ნაკვეთში და მიმდებარე ტერიტორიაზე, ცვალებადი ინტენსივობით მუდმივად მიმდინარე ეროზიულ-დენუდაციური პროცესების ზემოქმედების გამო, ფერდობული გენეზისის საფარი გრუნტები ერთობ შეზღუდული გავრცელებით და სიმძლავრით ხასიათდებიან (0,1-0,15 - 0,2 მ-დე).



სურ. 4



სურ. 5

მცენარეულ საფარს მოკლებულ ლოკალურ უბნებზე, ტერიტორიის ამგები ნახევრადკლდოვანი ბმული (თიხოვანი) ნალექები გადარეცხილი და ზედაპირზე გაშიშვლებულია. აერაციის ზონაში მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები დაქვეითებულია, ხასიათდებიან გამოფიტვის და დანაპრალიანების განსხვავებული ხარისხით და შესაბამისად ქმნიან არამძლავრ მონატეხოვან-ღორღოვან და წვრილდისპერსიული ქვიშოვან-თიხოვან დანაგროვებს **(სურ. 6).**

19



სურ. 6

როგორც მიწის ნაკვეთის ფარგლებში, ისე მის სამი მხრიდან მოსაზღვრე ტერიტორიაზე, დაბალი ინტენსივობით გამოფიტვის და ფართობული დენუდაციური პროცესების გარდა, ამ ეტაპზე სხვა სახის საშიში გეოლოგიური მოვლენების და პროცესების (მეწყერი, ქვათაცვენა, სუფოზია და სხვ.) ჩასახვა-განვითარების ნიშნები არ ფიქსირდება, მაგრამ მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ, ხელოვნურად ფორმირებული 2,5-6 მ-დე სიმაღლის და ძლიერ ციცაბოდ დახრილი (55-67°-დე) ფერდოს ამგებ, გამოფიტულ-დანაპრალიანებულ ქანებში, ადგილი აქვს ქვათაცვენის და ჩამოშვავების პროცესების განვითარებას, რომელიც საშიშროებას უქმნის მიწის ნაკვეთის შემდგომ მდგრადობას.

როგორც წინამდებარე დასკვნაში იყო რეკომენდირებული, მიწის ნაკვეთის შემდგომი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია ხელოვნურად ფორმირებულ გრავიტაციული ფერდოს გასწვრივ დამცავი კედლის აგება, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთის მდგრადობას.

მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების და ტექტონიკური, სეისმური, არსებული მორფოლოგიურ-ტოპოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით სამშენებლო ნორმების და წესების - 01.02.07-87-ის აუცილებელი დანართი 10-ის თანახმად, მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება III (რთული) კატეგორიას. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მრავალსართულიანი (როგორც კოლექტიურ განცხადებაშია მითითებული) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედნის მოწყობის მიზნით, ნაკვეთის ფარგლებში საჭირო

20

გახდება ფერდობის დამუშავება, ტერიტორიის ჰიფსომეტრიის გათვალისწინებით, არანაკლებ 15,0-17,0 მ-ის სიმაღლეზე. შესაბამისად აღნიშნული ქმედება შექმნის პირობებს, ნაკვეთის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიის და აქ არსებული დასახლებული უბნის მდგრადობის დარღვევის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული საცხოვრებელი კომპლექსის საპროექტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შპს „მეტრა დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებული 3700 მ² მიწის ნაკვეთში სახლების მშენებლობა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების და სამშენებლო ნორმების და წესების სრული დაცვით, განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად შეფასებული უნდა იქნას არსებული ფერდობის მდგრადობა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს
გეოლოგიის დეპარტამენტის
უფროსი — მერაბ გაფრინდაშვილი

ამავე დეპარტამენტის სტიქიური პროცესების
და საინჟინრო-გეოლოგიის ჯგუფის
მთავარი სპეციალისტი — შოთა ლობჟანიძე

წამყვანი სპეციალისტი — გიორგი კუნჭულია

მოწვეული სპეციალისტი — ზურაბ რიკაძე

21